



ნაბ. გ. ფირცხალავასი

ამხანაგი თვითკრიტიკას ეჩვევა ანუ ბანო ხვალმოლიანის საზინაო ვარჯიში
 — ამხანაგის გამოსვლა სწორია! ჩვენ უნდა შევეჩვიოთ თვითკრიტიკას, უნდა აღმოვფხვრათ ბიუროკრატიაში!

ს ი ა ს ი
 ამხანაგის

„თვითღული თურქი სალდათი, კორეაში გაგზავნილი, ზუთასი დოლარი უხის სახელმწიფოს, ამერიკელი სალდათი კი—ათჯგურ მეტი... მაგრამ ჩვენ ვიწოდებთ უფრო იაფი იარაღი...“
ამონაწერი ამერიკულ გაზეთებიდან



ქართული
საბჭოთაო



— გესმის, თახსინ, ამერიკელებმა ჩაღაც ახალი, იაფი იარაღი აღმოაჩინეს... ვაითუ ჩვენი დაცემული ფახიც დაეცეს... ჩაღა გვეშველება!..

ჭრელ-ჭრელი ამბები

ჭკუის მაკივალი გენერალი

ამერიკელი სამხედრო პირები, საერთოდ, შეზღუდული ჭკუის ადამიანებად ითვლებიან. ეს აზრი განსაკუთრებით უდავოდ განამტკიცეს ტრუმენის სარდლებმა იმ უთვალავი მარცხით, მათ კორეაში რომ იწვნიეს.

მაგრამ აი, მოხდა საკვირველი ამბავი: ტრუმენის სამხედრო მაჩანჩალამ გენერალმა ომარ ბრედლიმ აღმოაჩინა, რომ ამერიკელ გენერლებისათვისაც საჭირო ყოფილა ჭკუა. კიდევ მეტი, მან ჭკუის გამომჟღავნებაც განიზრახა და ლოგიკის სფეროში შეიჭრა. ეს მოხდა ქალაქ მობერლში, სადაც სიტყვით გამოსული ბრედლი მსმენელებს უმტკიცებდა, უჭკუო არ გეგონოთ, ლოგიკის საკითხებში კარგად ვერკვევიო. ამ წინასიტყვაობის შემდეგ მან გამოამჟღავნა... ლოგიკაც! აი, მოუსმინეთ:

„ამერიკა უნდა მართავდეს მთელ ქვეყნიერებას, — განაცხადა მან და რიხიანად დასძინა: — როგორც მსოფლიოს მმართველნი, ჩვენ ძლიერნი უნდა ვიყოთ, ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით... ძალა მეგობრებსა და მოკავშირეებს შეგვძენსო...“

როგორც მკითხველი ხედავს—გაფხორილმა გენერალმა ამგვარი „ლოგიკით“ მთლად ყირაზე დააყენა ლოგიკის ნორმება, მაგრამ იმის დამტკიცება მაინც შესძლო, რომ შემცდარნი არ ყოფილან ისინი, ვინც ფიქრობდნენ, რომ „ამერიკის შეიარაღებულ ძალთა შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის“ თავმჯდომარისათვისაც საჭირო ყოფილა ჭკუა. ამ თანამდებობას დღეს ბრედლი ასრულებს. მას ვალდებულებად დაუსახავს ეძიოს ჭკუა.

გადმოწყალე ჯალათის ოსნებანი

უოლსტრიტელი ომის გამჩალებლები ამ ბოლო დროს ახირებულ ესთეტიკას შეტანებთან. ატომის ბომბის რეკლამისათვის იყენებენ კოსმეტიკასა და საშაქარლამო ნაწარმს, აცხობენ ეგრეთ წოდებულ „ატომურ ტორტებს“, ქსოვენ „ატომურ ჰალსტუხებს“ და, ასე გასინჯეთ, „ატომურ სიმფონიებსაც“ კი აწერიანებენ კომპოზიტორებს.

ეს თავისებური შეშლილობა კაცს მხოლოდ ღიმილს მოგვირიადა, მისი ნამდვილი დედააზრი ქუჩურ რეკლამას რომ არ შორდებოდეს, მაგრამ ამ რეკლამაში მკვლელების ნამდვილი სახე გამოკრთის: ამით ომის გამჩალებლები ატომური ომის პროპაგანდას ეწევიან და ატომის ბომბს ჰუმანურ იარაღადაც სახავენ.

უდანაშაულო ადამიანების მასობრივი ქლეტის ერთ-ერთმა იდეოლოგმა, „იუნაიტედ პრესის“ სააგენტოს თავმჯდომარემ ვინმე ბელიმ საოცარი ცინიზმით აუწყა ეს ქვეყნიერებას. ეს ცრუ ინფორმაციის ფაბრიკანტი ამას წინათ ატომური ბომბის საცდელ აფეთქებას დასწრებია. გამანადგურებელ იარაღს გული აუჩუყებია მისთვის და ჯალათის ალტყინებით შემდეგი „სიბრძნე“ გადმოუნთხევინებია:

— ატომური დაბომბვა — ეს არის „გულმოწყალე დარტყმა“, იგი ჯარისკაცებს ჰკლავს სწრაფად და დიდი რაოდენობით, რაც ამცირებს ომის ხანგრძლიობას.

მოკლეთ რომ ესთქვათ, შეატომე ჯალათების ფიქრით, მილიონობით უდანაშაულო ადამიანებს—ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს მართებთ მადლობის გადახდა იმისათვის, რომ ამერიკელი მკვლელები მოწყალეებს მიიღებენ და სწრაფად და დიდი რაოდენობით გაჟლეტენ ხალხს.

ლიბერალთა ერასტი ამბაკოს-ზე მახათაძეს

ერასტი ამბაკოს-ზე
 ჯასტი
 ჯასტი მხარა
 ჯასტი მხარა

ერასტი
 ბიბლიოთეკა



დიდად პატივცემული ამხანაგო ერასტი!
 მივიღე თქვენი გამოგზავნილი ხუთი თუმანი. დიდ მადლობას მოგახსენებთ. ამ ფულში სწორედ დროზე მომისწრო: ვალი მქონდა ვადასახდელი და მევალეს მივეცი, მაგრამ როგორ განვეციფრდი, როცა მან ეს ხუთთუმნიანი არ მიიღო და უკანვე დამიბრუნა. — ესო, — მითხრა მან. — ერასტი მახათაძისა ყოფილა, როგორც პატრონის წარწერა ამტკიცებსო, და უხერხულად მიმაჩნია მივიღოო“.

ამხანაგო ერასტი ამბაკოს ძევე, პირველ ყოვლისა, შექველია ჩემთვის, რომ ამბაკო მახათაძემ თქვენ, მის საყვარელ შვილს ერასტის, არ გასწავლათ, რომ სახელმწიფო ხაზინის მიერ გამოშვებულ ბილეთებზე (ქალაქის ფულის ნიშნებზე) რისი დაწერაც საჭიროა, უკვე აწერია და სხვა რამის დაწერა არ შეიძლება. ალბათ არც მასწავლებელმა აგისნათ სკოლაში, რომ ასეთი წერა უკულტურობის ნიშანია, თორემ როგორ დავიჯერო, რომ ფულის ნიშანს საწერ ქალაქადღად გამოიყენებდით? ერთიც ვნახოთ, ვის ხელშია ეს ფული გაივლის, ყველამ მოისურვა ზედ თავისი სახელისა და გვარის გამოყვანა, რას დაემსგავსება ის?

ერასტი ჩემო, თქვენ ამ თქვენი საქციელით ერთბაშად ცნობილი გახდებით ყველგან, სადაც კი „ნიანგის“ ეს ნომერი მივა, მაგრამ ხომ არ აჯობებდა, რომ თქვენი ვინაობა არავის გაეგო? მგონია, აჯობებდა.

ამხანაგო ერასტი, არ იფიქროთ, რომ თქვენ მარტო ხართ ამისთანა საქმეში. არა! მე ბევრი, ძალიან ბევრი ქალაქის ფული მიმიღია სხვადასხვა პირისაგან, რომლებიც დამშვენებული ყოფილა სხვადასხვა მინაწერით: ზოგს მარტო სახელი ეწერა, ზოგს გვარი, ზოგს სახე-ბული ყოფილა სხვადასხვა მინაწერით: ზოგს მარტო სახელი ეწერა, ზოგს გვარი, ზოგს სახე-ბულიც და გვარიც, მაგრამ თქვენ რომ მამის სახელიც არ დაგვიწყებიათ, ასეთი სისრულით დალიც და გვარიც, მაგრამ თქვენ რომ მამის სახელიც არ დაგვიწყებიათ, ასეთი სისრულით დაწერილი ძალიან ცოტა შემხვედრია. ბარემ მისამართიც მიგეწერათ, თქვე კაი კაცო, რომ ეს წერილი თქვენთვის ბინაზე გამოგზავნა და „ნიანგის“ რედაქცია არ შემეწუხებინა!

მინაწერები ნაირ-ნაირია. მოლარეებს, მაგ., ასეთი ჩვეულება ჰქონიათ: ფულს რომ დაითვლიან და ჩასაბარებლად შეკრავენ, ერთად შეკრულის თანხის ჩაოდენობას ზედ დააწერენ, მაგრამ არა შესაკრავ ქალაქს, არამედ ზემოთ მდებარე ფულის ნიშანს. ეს ჩვეულება უთუოდ იმის მაჩვენებელია, რომ მოლარემ ციფრების წერა იცის, მაგრამ ამისთანავე იმასაც გვეუბნება, რომ მოლარეც თქვენსავით უკვდავების მოყვარულია.

ამხანაგო ერასტი, არც ის იფიქროთ, თითქო თქვენისთანა ვაყების თავის გამოჩენა მარტო ფულის ნიშანზე წერით განისაზღვრებოდეს. არა, თავის გამოჩენის საშუალება ნაირ-ნაირია: ზოგი ბავშვი ტროტუარებზე წერს სიტყვებს, ზოგი მოზრდილი უზრდელი ქიშკრებს და სახლის კედლებს ახატავს და აწერს სიტყვებს და სხვადასხვა.


განსაკუთრებით დამაფიქრებელია, ამხანაგო ერასტი, თქვენისთანა ბიჭების ჩვეულება, აღბეჭდონ თავისი ვინაობა ისტორიულ ძეგლებზე და ამით უკვდავონ თავისი სახელი. აბა მოიარეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხე, დაათვალიერეთ ისტორიული ძეგლები: ვარძია, საფარა, სამშვილდე, ატენი, სამთავისი, გელათი, ბოლნისი, მანგლისი და სხვები, დარწმუნდებით, თუ როგორ აკრელებულია ეს მშვენიერი ძეგლები ახალი მინაწერებით! განა ძეგლები აგრე უნდა დავამახინჯოთ?

თქვენ ალბათ იცით, ამხანაგო ერასტი, თუ როგორ მზრუნველობას იჩენს ამ ძეგლებისადმი პარტია და ხელისუფლება და რამდენს ხარჯავს ყოველწლიურად მათი დაცვისა და შეკეთებისათვის! თქვენ ისიც იცით, თუ როგორ ამაყობს ჩვენი ხალხი თავისი გმირული წარსულით. ამიტომ უნდა დაგვეზაროთ და თქვენს მიმდევრებს ერთხელ და სამუდამოდ აუკრძალოთ ასეთი უღირსი საქციელი.

დარიალის კლდეები თუ სვანეთის მწვერვალები, ასწლოვანი ხეები თუ ბალის სკამები, ობელისკები თუ მთაწმინდის პლატოს ზოლი ზღუდე, თქვენს თანამოქალაქეებს, ჩემო ერასტი, ისე უხვად დაუჯღაბნიათ, რომ მათი სახელების ამონაწერი მოცულობით „ქართლის ცხოვრებას“ აღემატება... ამიტომ, ამხანაგო ერასტი, იმედი მაქვს, რომ თქვენ ამიერიდან უკვე ცნობილი პირი, არათუ აღარაფერს დააშავებთ, არამედ მონაწილეობასაც კი მიიღებთ ბრძოლაში: ასეთი მახინჯი მოვლენის წინააღმდეგ ყველა თქვენი მიმდევარი დაარჩეთ და კკუა ასწავლეთ, უსაყვედურეთ და შეარცხენეთ. და თუ არ მოიშალოს თავისი უმგვანო საქციელი, მოსწერეთ „ნიანგს“ და სათანადო ზომებს ის მიიღებს.

თქვენი კეთილის მსურველი
 ა. ოძრკოვიჩიძე





ნიანგის ფოტო



ოდესმე ერთი წუთით თუ მაინც დაფიქრებულხარო, მკითხველო, იმის შესახებ თუ რა შეუძლია გააკეთოს წითელლოყება თურაშაულმა? არც რენეტის, ან თუ გნებავთ, კიტრავაშლის ცხოველმყოფელ ძალაზე გიფიქრიათ?

ვიცი ბავშვობის პასაკს გაიხსენებთ და მოგაგონდებთ წიგნში წაკითხული ამბავი პატარა ბავშვისა და გაცივებულ ვაშლის შესახებ, ჩემთან მოდიო, მოციხარი რომ ეძახდა და ბავშვი თავისთან მიიტყუილა.

მაგრამ ეს შემთხვევა ფრიალ უბრალო ამბავი გახლავთ. ვაშლს უფრო მეტის გაკეთება შესძლებია.

ამის დასამტკიცებლად მინდა გიამბოთ გორელი კაცის, ხილის პუნქტის გამგის პავლე გასიტაშვილის შესახებ,

რომელმაც ვაშლს ენა ამოადგმევინა და თავის სამსახურში ჩააყენა...

აილო ხელში პავლემ აბელაური, „აგურს მიშოვნიდეთო“, უთხრა და გააგორა. იგორა აბელაურმა, იგორა, მივიდა აგურის ქარხანაში, შეიძინა რამდენიმე ათასი აგური და პავლეს მოართვა.

აილო ხელში პავლემ რენეტი, „კრამიტს მიშოვნიდეთო“, უთხრა და გააგორა. იგორა რენეტმა, იგორა, კრამიტის ქარხანაში მიგორდა, შეიძინა კრამიტი და პავლეს ჩააბარა.

აილო ხელში პავლემ შაფრანი, „ხეტყეს მიშოვნიდეთო“, უთხრა და გააგორა. იგორა შაფრანმა, იგორა, მიგორდა ხეტყის საწყობში, ხეტყე შეიძინა და პავლეს მოუხიდა.

გაჯი და კირი აკლდა პავლეს, ანტრონოვკამ უშოვნა, ლურსმანი სჭირდებოდა, კიტრავაშლმა მოუტანა, ყავრის შექენა კი ჰანჭურს დაავალა და დაიწყო ძია პავლემ ორსართულიანი სახლის შენება.

მოიწვია კალატოზები, დამხმარე მუშები, ოცდაათამდე კაცს მოუყარა თავი და გახურდა მშენებლობა მთელი თავისი კანონითა და წესით. პავლეს დიდი საყვრი ეკავა ხელში, დასვენებ-

ბის დროს დასვენებას ატყობინებდა მუშებს, მუშაობის დაწყების დროს — მუშაობის დაწყებას. ერთი სიტყვით, „საქმშენის“ ყოველგვარი წესი დანერგა პავლემ საკუთარ მშენებლობაზე.

„ვინც წლით იზრდებოდა, ის დლით იზრდებოდა“ ზღაპარში რომ გავიგონიათ, პავლეს სახლსაც ასე დაემართა. სულ რამდენიმე თვეში ერთიმეორეზე რვა ოთახი გაიწვია სარდაფით, გარაერთა და სხვა დამხმარე ნაქურდალ-ნაპარავით. ამ მშენებლობას გორელებმა „პავლეშენი“ შეარქვეს.

ახლა, გადახვალთ თუ არა გორის სადგურზე, სამი წლის ბაღსაც რომ ჰკითხოთ „პავლეშენი“ სად არისო, თვალდახუჭული მიგიყვანთ გასიტაშვილის სასახლესთან...

მაგრამ ცარიელი გარაჟი ხომ იმ წყალსადენსა ჰგავს, რომელშიც წყალი არ მოდის?

აილო ხელში პავლემ ატამი, „შენს სიტკბოს ვენაცვალე, ერთ „პობედას“ მომიგორებდეთო“, უთხრა და გააგორა. იგორა ატამმა, იგორა, სად შეგორდა და სად არა, მას ვერაფერი ვათქმევინეთ, რადგან მისი სიცოცხლე ხანმოკლე იყო, მაგრამ საქმე კი ისე მოხდა, რომ პავლეს თავისავით ლამაზი „პობედა“ მიუგორა.

აი რა შეუძლია, მკითხველო, ვაშლს. გორელი რევიზორები კი მის მოვლა-პატრონობას ჩირადაც არ აგდებდნენ!

ზია

ნან. ი. ქოქიაშვილისა



საპილიპილო გაურთხილება

— ხედავთ, ეჭიმო, დაგვიბნედა დილა მზიანი, — ჩვენმა ბიჭიკომ გადაყლაპა აბაზიანი!

— ნუ გეშინიათ, აბა, რაა აბაზიანი! სწრაფდ ამოვაცდი, არ მოუვა თქვენს ბიჭს ზიანი!

მაგრამ იცოდეთ — რევიზიაც ველარ უშვედის, თუ დაეჩვია და ჩაყლაპა ათასიანი!

დედი - ოღილაგაძე

კომუნისტური საქმიანობა

სოფელ ბარალეთის ქუჩებში ყოველდღე რაღაც უცნაური აჩრდილი დაძრწოდა. ის არც ადამიანს გავდა, არც ნადირს და არც ბუნების მიერ შექმნილ სხვა რამ არსებებს.

თუ ვინ იყო ის, საიდან მოაღწია ჯავახეთს, როგორ შეიპარა სოფელ ბარალეთში—ეს ყველამ იცოდა, მაგრამ თავს ისე იკერძნენ, თითქოს მის შესახებ არაფერი გაუგიათო, მაგრა უკეტავდნენ კარსა და ფანჯაროს, გაუბრუნდნენ ამ დაუბატონებელ სტუმართან შეხვედრას.

აღმათ „აჩრდილი“ დიდხანს იხეტიალებდა ასე, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარის გვეგორქ დაბინიანის რკინის სიფიში არ მოხვედრილაყო.

ნუ გაცოდება მკითხველი, თუ შეიტყობს, რომ ეს უცნაურად მოხეტიალე „აჩრდილი“ იყო ანრეშუმის ძაფით ამოქარგული ულამაზესი ხალიჩა, რომელიც თბილისში შეიძინეს და საჩუქრად მიართვეს ახალქალაქის რაიონის პარტიული კომიტეტის მდივანს გიორგი ილიას-ძე მიხანაშვილს. ამ ძვირფასი საჩუქრის მიართმევით, ბარალეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გვეგორქ დაბინიანს და მის მლიქნელებს სურდათ თავიანთკენ მიეპყროთ მიხანაშვილის მოწყალე ყურადღება და მის წინაშე ნდობა და სიყვარული დაემსახურებინათ.

დაბინიანს კი რაიკომის მდივანს მფარველობა ისე ესაქიროებოდა, როგორც თევზს—წყალი. ის ხომ თვითონ პირადადაც ბევრ წვრილფეხა ქურდბაცაცას, ეულიკსა და წამგლეჯს მფარველობდა, თუნდაც ისეთებს, როგორიცაა, მაგალითად, კოლმეურნეობის საწყობის ყოფილი გამგე ო. ბაღანანი, ამჟამად საწყობის გამგელ მომუშავე ა. ბაღანანი და მრავალი სხვა, რომელნიც დღესაც ითვისებენ და დაუბოგავდ ანიავებენ საკოლმეურნეო ქონებას.

ღიახ, დიდად საჭირო იყო გიორგი ილიასძესთან დამეგობრება. და ასეთი დიდი მფარველის შესაძენად განა ათი ხალიჩაც კი ცოტა არ იყო? მაგრამ არაფერია, დე, ეს ერთი იყოს, ერთი, მხოლოდ საუკეთესო, ჯადოსნური და ყოვლისშემძლე.

და, მაღლობა ღმერთს, ძლივს მოხანხეს ასეთი ხალიჩა მის აღმოჩენაში დიდი ამაგი მიუძღვის რაიონის სტატისტიკური განყოფილების გამგეს პრ. მელიანს. მისი უნარი და შინა სწორედ ამ ხალიჩის შეძენაში გამოაშკარავდა. მელიანი სპეციალურად იყო მივლინებული თბილისის საკომისიო მალაზიებში, რამდენი იარა, რამდენი არჩია და ბოლოს თქვა:

— აფერუმ! აი, ეს არის საკადრისი გიორგი ილიასძის! შემიხვით, ფარჩაში შემიხვით, რომ გარედანაც თვალს ეამოს, გიორგიმ გაიღიმოს და მაღლობა თქვას.

და მიიღო ამხანაგმა მიხანაშვილმა ჯადოსნური ხალიჩა. მიიღო დამშვიდებული სინდისით, გაიღიმა კიდევც, მგონი მაღლობაც ორჯერა თქვა: აი, აფერუმ, აი, ეს მესმის!

ან კი რატომ არ უნდა მიეღო? ეს ხომ ქრთამი არ იყო? ეს მხოლოდ მოკრძალებული საჩუქარი გახლდათ. პატარა ხალიჩა! აბა, გაეხედათ და ქრთამად მიეტანათ—სულ კინწის კვრით იფრენდა ასეთ კანდიერებს მიხანაშვილი, ხალიჩას უკან დაუბრუნებდა და დამნაშავეთ სასტიკად დასჯდა.

შაგრამ საჩუქარსა და ქრთამს შორის ხომ არის განსხვავება? საჩუქარი სულ სხვაა: ადამიანებს სურთ თავიანთი მზადყოფნა, სიყვარული და პატივისცემა დაუმტკიცონ რაიკომის მდივანს და რისთვის, რის გულისათვის უნდა აღუკვეთოს ადამიანებს ეს სანეტარო სურვილი და სიამოვნება?

ამბობენ, რომ პირველ ხანებში ამ ჯადოსნურ ხალიჩაზე გიორგი ილიას-ძე მხარეთმოზე წამოწოლილი ლაღად ისვენებდა, ლამაზ და საამურ სიზმრებსაც ხედავდაო!

მას ესიზმრებოდა, მავალითად, რომ კოლმეურნეობებში დათესილი არაკონდიციური თესლი საოცრად ხარობდა, ყანაში ცხენიანი კაციც კი იმალებოდა. ხედავდა იმასაც, თუ ღვთის ანაბარა მიტოვებული კოლმეურნეობები როგორ თავისთავად მტკიცდებოდნენ, ძლიერდებოდნენ და შეძლებული ხდებოდნენ. ხედავდა კიდევ, რომ რაიონში ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ საჩუქრებით კმაყოფილდებოდნენ.

ღიახ, ბევრ, ძალიან ბევრ კარგ და ლამაზ სიზმარს ჰგვრიდა ეს ჯადოსნური ხალიჩა გიორგი ილიასძეს.

მაგრამ მისი სიზმრები მოულოდნელად ერთმანეთში აირია, კოშმარულ სიზმრებად გადაიქცა. ეს მოხდა განსაკუთრებით მაშინ, როცა მიხანაშვილმა ყური მოჰკრა, რომ მის მეზობელ ბოგდანოვის რაიონში, რაიკომის მდივანი ი. ლუარსაბოვი ასეთი მშვენიერი საჩუქრების გულისათვის მოიხსნა სამუშაოდან და მას მკაცრი პარტიული სასჯელიც დაედო, და გიორგი ილიასძემ გადაწყვიტა, სანამ გვიან არ იყო, თავი დაეღწია სახიფათო ხალიჩისაგან. კარგად შეახვია ის, შეფუთა, თავისთან მოიხმო მტკის-ის დირექტორის მოადგილე არშალუის მამულიანი, აჰკიდა ზურგზე ხალიჩა და უკან დაუბრუნა ბარალეთს.

ლამდებოდა, როცა არაქათვამოცლილი მამულიანი კოლმეურნეობის კანტორაში შევიდა და ჯადოსნური ხალიჩა თავის სიგრძე-სიგანით კოლმეურნეობის თავმჯდომარის მაგიდაზე დაავლო. შემდეგ ქუდი მოიხადა და მგლოვიარესავით, დადუმებული დაღვა ხალიჩასთან ახლოს.

შემოვიდა თავმჯდომარე, მოვიდნენ სოფლის დანარჩენი დიდებულნი და მგლოვიარედ ჩამომწყრიდნენ „ცხედრის“ გარშემო.

— ბიჭებო, — აქანკალემული ხმით მიმართა მათ დარბინიანმა, — ეს ჩვენი მკვდარია და ჩვენვე უნდა ვრტორთ!

— ღმერთმა სული გაუნათლოს, — მწყუხარებით წაილულულეს დამსწრეთ და ცხვირსახოცები მოიმარჯვეს.

— ჩვენ ყველანი მონაწილენი ვიყავით ამ გარდაცვლილის მხიარული დღეებისა, — განავრძო სლუკუნით თავმჯდომარემ, — ახლა კი მწყუხარე დღე დაგვიდგა და ეს მწყუხარება ყველამ უნდა გავიზიაროთ. ვთხოვთ თქვათ, რა ვუყოთ, ვის ვაჩუქოთ ეს სახიფათო ხალიჩა? იქნებ თქვენგან ვინმეს სურს? აბა, წინ წამოდგეს!..

დამსწრეთ გველნაკმენივით უკან დაიხიეს. მაგრამ დარბინიანი არც ისე მიამიტა, რომ „მკვდარი“ მარტო დაეტერა. კანტორის კარები ჩარახა და თათბირი გამართა. თათბირის დასკვნა არ ვიცით, მაგრამ ეს უცნაური ხალიჩა იმ დამეს ერთ-ერთ ბარალეთელ გლეხს ფანჯრიდან სახლში შეუგდეს. დილით, სახლის პატრონმა იცნო დაუბატონებელი სტუმარი, ამოიღო ილღიაში, კოლმეურნეობის კანტორაში მიიტანა და თავმჯდომარის წინ დაავლო.

— შენი კანონიერი შვილია, შენვე მოუარე!

მეორე დამეს ეს ხალიჩა ესტუმრა სხვა ოჯახს, მაგრამ ვერც იქ ჰპოვა თავშესაფარი! მესამე დამეს, მეოთხეს, ამოაღო...

ამბობენ, რომ შემდეგ ეს ჯადოსნური ხალიჩა ყოველდღე რიგრიგობით დაიარებოდა ბარალეთელ კოლმეურნეობებთან, მაგრამ მისთვის კარი ყველგან დახმული იყო. ყველანი გაუბრუნდნენ, როგორც კეთროვანს.

და, აღმათ, დიდხანს ივლიდა ასე, რომ ბოლოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს სიფიში არ გამოემწყვდია ეს აბეზარი ჯადოსანი.

როდემდის, როდემდის უნდა იყოს პატიმრობაში აბრეშუმის ვარდებით ნაქარგი ხალიჩა? იქნებ ღროა — მას პირი ვუკითხოთ!

ბ. სეიჩანიანი

ნახ. გ. აბაშიძისა



— რამდენი გადავიხადო ხალაროში?
— ხალაროში რატომ, ვანა მოლარემ ვაგპარხათ!

ერთი თავის დაკარგვის შესახებ

— რამდენი დაკალით დღეს?
— სამის მეტი ვერ მოვასწარიო!
— ფართულით დღეს ხომ შვიდი ცხვარი უნდა მოგვასწარიო, თქვენ კი სამი დაგვიკლავთ!
— ოთხი ისე მოკვდა, რომ ყელის გამოჭრა ვერ მოვასწარიო!

— ჰაი, თქვე დოკლაპიებო, ზარმაცებო, უქნარებო, უსულადოდ რაზე ხოცავდით, თვალები სადა გქონდათ?
— ვეღარ მოვასწარიო, გეთაყვა, გატყავება არ უნდა? ასეთი კითხვა-პასუხებითა და საყვედურებით იწყებოდა შუა-ზამთრის დღეები ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში. პირველი შეკითხვა და საყვედურები ეკუთვნოდა თვით კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გრიგოლ ავალიშვილს, ხოლო ინფორმაცია და თავის მართლება — მწყემსებს, რომელთა თვალწინ ყოველდღიურად იხოცებოდნენ სანაშენო ცხვრები და მათთან ერთად მსხვილფეხა საქონელიც. ამ „გეგმიანი სიკვდილიანობის“ შედეგად კი ზამთრის მიწურულისათვის კოლმეურნეობის ფერმას მოაკლდა 96 ცხვარი და 27 მსხვილფეხა პირუტყვი.

შეჰკადრეს ავალიშვილს კრიტიკა ქვემოდან, სამართლიანი საყვედურებით აავესეს, რაიონის უწყინარი ზოოტექნიკოსიც კი შეესიტყვა — რატომ ზამთრისათვის საკვები არ დაამზადეთო?

გამოირკვა, რომ საკვები გასულ ზაფხულს კოლმეურნეებმა დაამზადეს, მთაში საკმაოდ მეტი ბალახი მოთიბეს, მაგრამ ავალიშვილს მის ჩამოზიდვა-შენახვაზე არც კი უფიქრია. ახლა კი, როცა შიმშილმა ფერმა გაუჩინა, ის სხვებს უსაყვედურებს „უთავობას“.

სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ ახალდაბის კოლმეურნეობაში რომ ნამდვილად დაკარგულა თავი — ამასი სასესებით ვეთანხმებით ავალიშვილს.

ასალდახელი

ნაკთიანი შემთხვევა

— ჩამისხი, თუ კაცი ხარ, ამ ბიღონში ექვსი ლიტრი ნავთი! — მიმართა ნავთის წერტის ზემოთ მცხოვრებმა მეზობელმა ნავთის გამყიდველს.

მენავთემ უმალ შეასრულა მეზობლის თხოვნა, საწყაო ნავთის აუზში ჩაუშვა, დგაფა-დგუფით ამოიღო და ბიღონი მიაწოდა მუშტარს. კიბეზე ასვლისას მუშტარს ორი მოქალაქე შეეხეჩა, ბიღონი გამოართვეს და ბოდიშის მოხდით სარდაფში უკან ჩაბრუნება თხოვეს.

— გვპატიეთ, რამდენი ლიტრი ნავთი იყიდეთ? — შეეკითხნენ უცნობები მუშტარს.

— ექვსი!

მენავთეს ფერი ეცვალა, რალაც ცუდ გუნებაზე გახდა ნავთის მაგიერ კონტროლის სუნი ეცა!

— აბა, ერთი ნახეთ, გეთაყვა, — მიმართეს მას უცნობებმა. — ნამდვილად არის თუ არა ექვსი ლიტრი, მოიტათ საწყაო!

ხელების კანკალით გადმოიღო მენავთემ ერთი ხუთ-ლიტრიანი და მეორეც — ერთლიტრიანი საწყაო, ბიღონიდან ჩაუშვა ნავთი საწყაოებში და, ჰაი საკვირველებავი გაყიდული ნავთი ზუსტად ექვსი ლიტრი გამოვიდა!

— გეფიცებით, ეს იშვიათი შემთხვევაა! — გაოცდნენ უცნობები. — იშვიათი!

— რაო? ბრღიში მოიხადეთ, მე თავის დღეში არავის ვაკლებ, როგორ გეკადრებათ! — გაფიცხდა ფერმოსული მენავთე.

— ბოდიში, გვაპატიეთ!

— დაუბრუნეთ მოქალაქეს თავისი ნავთი, კარგი მუშაკი მუდამ დაფასდება, ამას რა ჯობია! — უთხრეს უცნობებმა მენავთეს და სარდაფიდან ამოვიდნენ.

მენავთემ მეზობელს ბიღონში ექვსი ლიტრი ნავთი უკანვე ჩაუსხა და საყვედურებს მოყვა:

— ნახე რა კონტროლს მიკეთებენ? მოდი და გულს ნუ დაგაკლდება პატიოსან მუშაკს!

— ეჰ, დალოცვილო! შენი რა მოგახსენო-და მე კი ნამდვილად დამაკლდა, ვიცი! — ჩაილაპარაკა მუშტარმა.

— ვითომ შენ რა დაგაკლდა? — შეეკითხა მენავთე.

— ისა, რომ ბიღონში ერთი ლიტრი ნავთი მქონდა ჩარჩენილი და ისიც შენს სათვალავში მოყვა შემოწმების დროს! მენავთემ არ იცოდა როგორ ეთქვა მადლობა მეზობლისათვის.

დავასახელებდით ჩვენს მიერ აღწერილ წერტის მისამართს, მენავთის სახელგვარსა და მომხდარი შემთხვევის დროს, მაგრამ არ გვინდა, რომ სხვა მენავთეებს შეეხარბოს. ყველას ხომ ასეთი შემთხვევა არ გაუმართლებს!

დ. ნაცვლიშვილი

უჩინ-მჩინის ქელით

საქართველო
საბჭოთა კავშირი

კარგად დააკვირდით ამ სურათს..!
დიდი ხანია ამ პიროვნებას ეძებენ,
ეძებენ და დღემდე ვერ უპოვნიათ.

მას ეძებენ ოჩაჩხორის რაიონის სატყეო
მეურნეობა, მოქვის ჩაის საბჭოთა
მეურნეობა, სოფელ ილორის ბერიას
სახელობის კოლმეურნეობა, სოფელ
აკვასკის ჩაის მიმღები პუნქტი, მოქვის
ჩაის ფაბრიკა.

და განა მარტო ისინი?

მას ეძებენ ზუგდიდის რაიონის
ნარაზენის საბჭოთა მეურნეობა; მას
ეძებენ გაგრის რაიონის ბერიას სახე-
ლობის კოლმეურნეობა, ხოსტისა და
მაცესტის საბჭოთა მეურნეობები.

მას ეძებენ ქობულეთის, გუდაუთი-
სა და გალის რაიონებში.

ეძებენ და ვერ უპოვნიათ!..

მოეწყობა თუ არა სადმე სამსახურ-
ში, რამდენიმე თვეში ათასებს გაფლან-
გავს, შემდეგ უჩინმჩინის ქუდს დაი-
ხურავს, გაუჩინარდება და საქართვე-
ლოს სხვა რაიონში ამოჰყოფს თავს.
ახალ რაიონში მეურნეობების გულუ-
ბრყვილო ხელმძღვანელები მას არც
შრომის წიგნაჲ თხოვენ, არც ანკეტას,
არც დახასიათებებს, შეუმოწმებლად
ხალხით სპასუხისმგებლო თანამდ-
ებობებს თავაზობენ. ცოტა ხანს წესიე-
რად იმუშავებს, შემდეგ კვლავ საგრძ-
ნობ თანხას გადაამუშავებს და მიიმა-
ლება, ზშირად იმავე რაიონში.

მას ეძებენ ოფიციალური ცოლი
მარიამი და მისი სამი შვილი: ნათელა,
შალიკო და გოგი.

ეძებენ, მიუხედავად იმისა, რომ მან
1951 წლის 26 ოქტომბერს შემდეგი
შინაარსის ხელწერილი მისცა თავის
ცოლ-შვილს:



შალვა დიმიტრის-ძე აქირთავა

„ვალდებულება.

ეძლევა ჩემს ცოლს მარიამ ესტა-
ტეს ასულს მასში, რომ მე, მომავალი
ჩვენი ერთად ცხოვრების მანძილზე
ვიყო სანიმუშო ქმარი და ჩემი ბავშვე-
ბის მამა. უსიამოვნებანი, რომლებიც

გამოწვეული იყო ჩემს მიერ, ვიძლევი
სიტყვას, ჩემს სიცოცხლეში არ გავი-
მეორო და შეძლებისდაგვარად უზრუნ-
ველვყო ცოლი და ბავშვები. და თუკი
ჩემს მხრივ განმეორდება ცუდი რამ,
დაე სათანადოდ დავისაჯო, რაზედაც
ვაწერ ხელს“ (ხელმოწერა).

ასეთი „საზეიმო“ ვალდებულების
მიცემის შემდეგ „სანიმუშო“ ქმარი და
მამა კვლავ უზო-უკლოდ გაუჩინარდა.
მას შემდეგ მის ცოლ-შვილს იგი ისევე
არ უნახავს, როგორც გუდაუთის სამან-
ქანო-სატრაქტორო სადგურის სამან-
მძღვანელობას, საიდანაც მან 15.000
მანეთი გაიტაცა.

მას ეძებენ მეორე ცოლი თამარ
ბროვკინა. მას ეძებენ მესამე ცოლის
თამარ ჩაჩბას სამი შვილი, რომელთაც
მან ღედა მოსტაცა.

ეძებენ, ეძებენ და ვერ უპოვნიათ!..

მას არც ერთ ინსტიტუტში არ
უსწავლია. იგი აგროტექნიკოსია. თავს
კი საქიროების შემთხვევაში ხან აგრო-
ნომად ასალებს, ხან ენტომოლოგად
(უჯერებენ კიდევ!).

მას არც ფინეთთან ომში და არც
სამამულო ომში მონაწილეობა არ მიუ-
ღია. მიუხედავად ამისა, იგი სამამულო
ომის ინვალიდათ ასალებს თავს (ამასაც
უჯერებენ!), ხოლო 1940 წელს სოხუმის
სოცურზრუნველყოფის განყოფილებიდან
პენსიასაც კი ღებულობდა ფინეთის
ომში „დაქრის“ გამო!

უკანასკნელი ცნობების მიხედვით,
იგი გალიდან გაქცეულა და, ალბათ,
ამჟამად საქართველოს რომელიმე რაი-
ონში „მოღვაწეობს“ აგრონომ-ენტო-
მოლოგად.

მისი სახელი და გვარია: შალვა
დიმიტრის-ძე აქირთავა.

ნეტავი რომელი გულმიმნდობი და
ბეცი ხელმძღვანელის კალთის ქვეშ
არის ამჟამად შეფარებული იგი?!

გ. ხიმონია
გ. მიხეილაშვილი



რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. საკრედიტო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,
ო. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნაწილი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ბელმოწ. დასაბ. 1952 წ. 2/VI. სტამბა „ხარია გოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 1272 გამოც. № 10. ტირ. 15.000. უგ 03950.

დაბეჭდილია ფარადი ბეჭდვის სტამბაში, ბარათაშვილის ქ. № 10-1 შეკ. № 253



დიდი ბრიტანეთი

აგრესორთა ბუდეში

იმერიის გამხმარ ტოტზე
 ზის ბებერი ორი სვაფი,
 ბუდეში კი უხვად ბარტყობს
 მათი შავი ნათესავი.

კაცს რომ ღმერთი გაუნყრება,
 ის თავისთავს ასე ერჩის...
 ამ სახითაც კარგად ვიცნობთ
 როგორც ტრუმენს, ისე ჩერჩილს!

გოგოთუა მიზრიალი